

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

აიპ ვანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანება 2012 წლის 15 აგვისტოს, 13 საათზე აწყობს პირობებიან აუქციონს დიხაშხოს საბავშვო ბაღის შენობაში განთავსებული თავისუფალი არასაცხოვრებელი ფართისა და მასზე თანასაკუთრების პრინციპით დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის მიზნით.

ინფორმაცია საიჯარო ქონების შესახებ;

- არასაცხოვრებელი ფართის მისამართი: ვანის მუნიციპალიტეტი სოფელი დიხაშხო. საბავშვო ბაღის შენობაში.
- არასაცხოვრებელი ფართის სიდიდე 600 კვ.მ.
- არასაცხოვრებელ ფართზე თანასაკუთრების პრინციპით დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სიდიდე 1232 კვ.მ.
- იჯარის ვადა 5 (ხუთი) წელი.
- საიჯარო ქირის საწყისი წლიური საიჯარო ქირის სიდიდე 3285 ლარი.
- აუქციონში „ბე“-სიდიდე - 500 ლარი.
- აუქციონში ბიჯის სიდიდე 165 ლარი.

საკონკურსო პირობები;

ფართის მოსარგებლე ვალდებულია:

- ა) თავისი საქმიანობით ხელი არ შეუშალოს საბავშვო ბაღის ნორმალურ ფუნქციონირებას.
- ბ) საბავშვო ბაღის შენობის ფართისა და მიწის ნაკვეთით სარგებლობისას არ დაუშვას:
- ბა) ტერიტორიაზე სამრეწველო ნარჩენების დაყრა.
- ბბ) ტერიტორიაზე მანქანა-დანადგარების, მექანიზმების ან სხვა სამეურნეო ინვენტარისა და მოწყობილობების დასაწყობება დამცავი ზღუდის გარეშე.
- გ) მუდმივად იზრუნოს სარგებლობაში აღებული ფართისა და ტერიტორიის სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვაზე.
- დ) წინასწარ აცნობოს ბაღის ადმინისტრაციას თუ გადაუდებელი საწარმოო ან სანიტარული ნორმების დაცვის მიზნით მას ჭირდება ისეთი ნივთიერებების გამოყენება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გაუთვალისწინებელი შედეგები.
- ე) დააწესოს აკრძალვა ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევისა და ალკოგოლის მიღების თაობაზე.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოსა და უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველები წარმოადგენენ:

1. განაცხადს აუქციონში მონაწილეობაზე
2. "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ საბანკო ქვითარს. "ბე" შეიტანება ანგარიშზე 33030120 ს/ს "ლიბერთი ბანკი"-ს ვანის ფილიალში.
3. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების (15 ლარი) გადახდის დამადასტურებელ ქვითარს. მონაწილის ბილეთის ღირებულება შეიტანება ანგარიშზე 33030120 ს/ს "ლიბერთი ბანკი"-ს ვანის ფილიალში.
4. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს.
5. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლს და ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან უკანასკნელი მონაცემებით. "ბე"-ს შეტანის ბოლო ვადაა 2012 წლის 15 აგვისტო 12 საათი

აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2012 წლის 15 აგვისტოს 12 საათამდე. აუქციონი ტარდება 2012 წლის 15 აგვისტოს 13 საათზე, ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის სააქტო დარბაზში, მისამართი: ქალაქი ვანი თავისუფლების ქ.№6.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ:

აიპ ვანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება. მისამართი ქ. ვანი თავისუფლების ქუჩა №65.